

ინფორმაციას მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მულხურაზე დაგეგმილი 40.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „მულხურა ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 30 ოქტომბრის N21/11138 წერილში მოცემულ საკითხებზე რეაგირების შესახებ.

საკითხი 1 - მულხურა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნით N22 (ბრძანება N429/ს 23.08.2023) მოთხოვნილ საკითხებზე რეაგირების შესახებ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი 11.1. ცხრილის მიხედვით, ჰესის დაზუსტებული პროექტის მიხედვით, ჰესის ნაგებობები და სამშენებლო ინფრასტრუქტურა არ იქნება მოქცეული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის საზღვრებში.

თუმცა გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, „ტერიტორიებზე მისასვლელად საჭირო იქნება მდ. მულხურაზე არსებული ხიდიდან დაახლოებით 1 200 მეტრიანი ახალი გზის მოწყობა, რომლის ნაწილიც მოხდება სახელმწიფოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე.“ „ძალური კვანძის სამშენებლო მოედნის ძირითადი ნაწილი განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 42.08.54.157; 42.08.54.368), ნაწილი კი ექცევა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.“ „მულხურა ჰესის ნაგებობების (სათავე ნაგებობები და ძალური კვანძი), ასევე სამშენებლო ინფრასტრუქტურის (სამშენებლო ბანაკები, ფუჭი ქანების სანაყაროები) განთავსების ტერიტორიები არ იქნება განთავსებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში. ძალური კვანძის სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზების მოსაწყობად გამოყენებული იქნება არსებული სატყეო გზები. თუ დეტალური პროექტირების პროცესში საჭირო გახდება აღნიშნული გზების გაფართოება, ხე მცენარეების გარემოდან ამოღება მოხდება განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების გზით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით. (იხ. ნახაზი 5.3.1.9.1).“

გარდა ამისა, წარმოდგენილი Shp-ფაილის მიხედვით, ჰესის ინფრასტრუქტურისთვის (დამცავი კედლები, ბანაკი 1 და ბანაკი 2; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსების ადგილი, არსებული გზა, ჰესის შენობასთან მისასვლელი გზა, სანაყაროებთან მისასვლელი გზა, ჰესის შენობა, ჰესის შენობის პლატფორმა, შეტბორვა, ხიდეები, სადაწნეო გვირაბი და სათავე ნაგებობა) გათვალისწინებული მთლიანი 142610 კვ.მ ფართობიდან (Shp-ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 49129 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, მესტიის სატყეო უბნის მესტიის სატყეოში, კვარტალი N32-სა და ლატალის სატყეოს N18;19;20;21;2 5კვარტალში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის თანახმად, თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

კომპანიის პასუხი: წერილში მოცემულია რამდენიმე დასაზუსტებელი საკითხი, რომელთაგანაც პირველი საკითხი ეხება პროექტის ფარგლებში მოქცეული მიწების სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაში მოქცევას და შესაბამის პროცედურებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ ნახსენები 142610 კვ.მ ფართობი, რომლიდანაც 49129 კვ.მ წარმოედგენს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას, მოიცავს ჰესის ყველა ნაგებობის განთავსების ტერიტორიებს. იმის გამო რომ მულხურა ჰესის დერივაცია მოხდება გვირაბის საშუალებით, გვირაბის ზედაპირზე განთავსებული ტყე, რომელიც არის ტყის ფონდის ტერიტორია, არ საჭიროებს ტყის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებას, რადგან გვირაბის გაყვანა მოხდება მთის სიღრმეში და შესაბამისად მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

მულხურა ჰესის სათავე ნაგებობის და ძალური კვანძის ტერიტორიები წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ამ ტერიტორიებზე პროექტის განხორციელება არ საჭიროებს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებას.

დანარჩენი ტერიტორიები, ისეთები როგორებიცაა ფუჭი ქანების სანაყაროები (სადაც ტყე არ არის მაგრამ მოქცეულია ტყის ფონდში), მისასვლელი გზები (რომლებიც წარმოადგენენ არსებულ გზებს) და სხვები, დაგეგმილი გვაქვს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსგან მოვითხოვოთ წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის, ჰიდროკვანძების, მშენებლობა/ფუნქციონირების მიზნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლამდე ვადით ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე. ამ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს უნდა მივმართოთ განცხადებით, რომელზეც დართული იქნება მოთხოვნილი ტერიტორიების shp ფაილები.

საკითხი 2 - როგორც ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, პროექტი ითვალისწინებს მდ. მულხურასა და მისი შენაკადების ღვარცოფულ ბუნებას, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას დოკუმენტში მოცემული საშიში გეოდინამიკური პროცესები (მეწყერი, ეროზია, ქვათაცვენა, და სხვ.) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

კომპანიის პასუხი: მულხურა ჰესის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია მდ. მულხურასა და მისი შენაკადების ღვარცოფული ბუნების გათვალისწინებით, კერძოდ: პროექტის მიხედვით დაგეგმილია დაბალზღურბლიანი დამბის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს ღვარცოფული ნაკადების ქვედა ბიეფში უსაფრთხო გატარებას.

ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე, გათვალისწინებული იქნება გზმ-ს ანგარიშში მოცემული საშიში გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ეროზია, ქვათაცვენა, და სხვ.) გააქტიურების პრევენციის მიზნით გზმ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები.

როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაგეგმილია დამატებითი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები.

საკითხი 3 - ამასთან წარმოდგენილი გეოლოგიური ანგარიში შესრულებულია მხოლოდ ორი სამთო გამონამუშევრის (სიღრმით 170 მ და 200 მ) და მათგან აღებულ სინჯებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული ფიზიკურ-მექანიკური (გეოტექნიკური) მახასიათებლებისა და სავლე გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე. შესაბამისად, მშენებლობის დაწყებამდე ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების არეალებში (გვირაბი, გვირაბის პორტალები, სათავე ნაგებობა, ჰესის შენობა და სხვ) უნდა ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები (ამასვე უთითებენ წარმოდგენილი ანგარიშის ავტორები გვ. 250), ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით. მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს ჰესის მშენებლობა;

კომპანიის პასუხი: როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული, ჰესის სამშენებლო პროექტის მომზადების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ჩატარებული იქნება დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევა ყველა ნაგებობის განთავსების ტერიტორიისათვის და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები.

საკითხი 4 - საჭიროა დოკუმენტაციაში აისახოს ინფორმაცია შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, მდ. მულხურას ხეობის შესაბამის ადგილას დისტანციური მეტეოროლოგიური სადგურისა და ღვარცოფულ-წყალმოვარდნის პროცესების ჩასახვის წინასწარი შეტყობინების სისტემის დამონტაჟების საჭიროების შესახებ;

კომპანიის პასუხი: შპს „აი ჯი ენერჯი“-ს, მულხურა ჰესის პროექტთან დაკავშირებული შესაძლო რისკებიდან გამომდინარე, დაგეგმილი აქვს საპროექტო არეალის დეტალური შესწავლა და შეფასება ღვარცოფული მოვლენების და ამასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გადაწყდება დისტანციური მეტეოროლოგიური სადგურისა და ღვარცოფული პროცესების ჩასახვის წინასწარი შეტყობინების სისტემის დამონტაჟების საკითხი, მათი რაოდენობის და ოპტიმალური მდებარეობების დადგენა როგორც მდ. მულხურას, ასევე მდ. მესტიაჭალის ხეობებში.

კვლევის შედეგები წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში.

საკითხი 5 - ზოგადი მიმოხილვის ქვეთავეში წარმოდგენილი სურ. 4.1.1 და სურ. 4.1.2 წვრილი მასშტაბის გამო არ იკითხება. არ იკითხება ასევე ნახაზი 5.2.2.5.6.1 ჭაბურღილების განლაგების სქემა და კოორდინატები;

კომპანიის პასუხი: სურათებზე 4.1.1. და 4.1.2. მოცემულია ჰესის ნაგებობების განლაგების სქემატური გამოსახულება და ჩვენი აზრით ნათლად ჩანს ყველა ნაგებობის განთავსების ადგილმდებარეობა. წერილს თან ერთვის 4.1.2. სურათის A3 ფორმატის ნაბეჭდი ვერსია.

რაც შეეხება 5.2.2.5.6.1 ნახაზს, შენიშვნა გათვალისწინებულია და განახლებული ვერსია მოცემულია თანდართულ სურათზე 1.

საკითხი 6 - ნაწილთან მიმართებით დაზუსტებას საჭიროებს, საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილებისა და მაქსიმალური ჩამონადენის შესახებ მეთოდოლოგია, ამასთან, განმარტებას საჭიროებს ოროგრაფიულად და ჰიფსომეტრიულად განსხვავებული ამბროლაურის და განსაკუთრებით ქუთაისის სადგურის ტემპერატურის მონაცემების გამოყენების საკითხი. გარდა ამისა, ჰიდროლოგიური ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მინიმალური ჩამონადენის და მყარი ნატანის ანგარიშები;

კომპანიის პასუხი: მულხურა ჰესის ჰიდროლოგიური ანგარიშისათვის მომზადდა ჰიდროლოგიური მოდელი. აღნიშნული მოდელის მომზადება მოხდა კომპანია AFRY-ს საკუთარ პროგრამაზე, რომელიც დაწერილია Fortran-ის ბაზაზე. აღნიშნული პროგრამა იყენებს COSERO-ს მოდელს და პრინციპს. COSERO-ს მოდელი არის კარგად ცნობილი HBV-ს მოდელის მსგავსი. COSERO-ს მოდელის ერთ-ერთი განმავითარებელი, ბატონი ჰარალდ კლინგი არის მულხურა ჰესის ჰიდროლოგიური კვლევის ავტორი. ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში მოცემულია გზმ-ს დანართში N6.

მულხურა ჰესის პროექტის ჰიდროლოგიური კვლევა წარმოდგენილია როგორც პროექტის შემაჯამებელ ანგარიშში (ძირითადი ნაწილი) ასევე ცალკე ჰიდროლოგიური კვლევის ნაწილში, რომელიც მოცემულია მეექვსე ტომის სახით. ჰიდროლოგიური კვლევის მეექვსე ტომის თავი 2 აღწერს ყველა იმ გამოყენებულ ისტორიულ დაკვირვების მონაცემებს, რომლებიც გამოყენებულია კვლევაში, მათ შორის მესტიისა და ხაიშის სადგურები, მდ. მესტიაჭალის დაკვირვების შედეგები და სხვები. თავი 4.2 აღწერს ხარჯების სიხშირის ანალიზის მეთოდოლოგიას, რომელის შედეგებიც შემდეგ გამოყენებულია თავში 4.3, სადაც დათვლილია მაქსიმალური ჩამონადენი. ზოგადად, პროექტის მიზნით მომზადებული ჰიდროლოგიური მოდელი აღწერილია თავში 3, სადაც გარდა სხვა პარამეტრებისა, ასევე დათვლილია შიდაწლიური გადანაწილებაც.

ამბროლაურისა და ქუთაისის სადგურების გამოყენება მოდელში მოხდა ინტერპოლაციის მეთოდით, როგორც ეს აღწერილია ჰიდროლოგიური კვლევის 3.2 თავში. იგივე თავში ნახსენებია, რომ გარდა ამბროლაურის და ქუთაისის სადგურების მონაცემებისა ასევე გამოყენებულია ქლუხორის სადგურის მონაცემები. მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების მონაცემები თვეების მიხედვით, ასევე სხვა ძირითადი შემაჯამებელი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მულხურა ჰესის პროექტის დასამუშავებლად, მოცემულია კვლევის 5-1 ცხრილში.

საკითხი 7 - დაზუსტებას საჭიროებს, როგორ ხორციელდება სალექარში დაგროვილი ნატანის გარეცხვა. მათ შორის საჭიროა დაზუსტდეს სალექარის გარეცხვის პერიოდულობა წელიწადის სხვადასხვა სეზონზე.

კომპანიის პასუხი: სალექარში ნატანის დაგროვების ინტენსივობა დამოკიდებულია წყალდიდობის სიხშირეზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მდ. მულხურა წარმოადგენს

ღვარცოფული ბუნების მდინარეს, წყალუხვობის პერიოდში მდინარის ჩამონადენში მყარი ნატანის შემცველობა მაღალია.

მდ. მულხურა ტიპიური მთის მდინარეა და ინტენსიური წყალუხვობით ხასიათდება გაზაფხულ-ზაფხულის და ადრე შემოდგომის პერიოდებში. წლის განმავლობაში სალექარში ნატანის ინტენსიური დაგროვება ხდება წყალუხვობის პერიოდებში. შესაბამისად გარეცხვის სიხშირე შედარებით ნაკლები იქნება ზაფხულის და განსაკუთრებით ზამთრის თვეებში.

როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული ჰესის სალექარი შედგება 6 სექციისაგან, რომელთაგან 3-3 სექცია დამოუკიდებელი მიმყვანი არხითაა დაკავშირებული წყალმიმღებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სალექარის სექციების გარეცხვა მოხდება მონაცვლეობით, კერძოდ: შესაძლებელი იქნება 3 სექციის გარეცხვა 3 სექციის მუშაობის პირობებში. შესაძლებელი იქნება ასევე 1 სექციის გარეცხვა და 5 სექციის მუშა მდგომარეობის შენარჩუნებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვედა ბიეფში წყლის სიმღვრივის მომატების რისკებს.

სალექარის სექციების გაწმენდა მოხდება ნალექის დაგროვების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, მაგრამ გარეცხვის ინტენსივობა შედარებით მაღალი იქნება გაზაფხულ-ზაფხულის წყალუხვობის პერიოდებში. ამ პერიოდში სალექარის გარეცხვა კვირის განმავლობაში საჭირო გახდეს კვირის განმავლობაში 2-3 ჯერ, ხოლო უხვი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ყოველი წყალდიდობის შემდეგ. რაც შეეხება ზამთრის წყალმცირობის პერიოდს, სალექარის გარეცხვა საჭირო იქნება თვეში ერთხელ ან ორჯერ, არსებული მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად.

როგორც აღნიშნა, სალექარის ნატანისაგან გარეცხვა როგორც წესი ტარდება წყალუხვობის პერიოდში და შესაბამისად დამბის ქვედა ბიეფში წყლის ბუნებრივ სიმღვრივეზე დიდი გადაჭარბება მოსალოდნელია არ არის.

საკითხი 8 - სამშენებლო მოედნის ჰიდროგეოლოგიურ პირობებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გვირაბის გასწვრივ, ფერდობებზე არსებულ წყაროებისა და მათი დებეტის შესახებ. ასევე მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების ნაწილში გასათვალისწინებელია ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობებში წყლის შესაძლო გაჟონვა გვირაბიდან და შესაბამისი პერიოდული მონიტორინგი არსებული წყაროების დებეტზე ან/და ახლის გამოვლენაზე.

კომპანიის პასუხი: ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, იდენტიფიცირებული იქნება გვირაბის დერეფნის ქვედა ნიშნულზე არსებული მიწისქვეშა წყაროები, მათ შორის შერჩეული იქნება 2-3 წყარო განისაზღვრება მათი დებეტები, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მახასიათებლები. მშენებლობის მთელი პერიოდის და შემდეგ ექსპლუატაციის პირველი სამი წლის განმავლობაში კვარტალში ერთხელ ჩატარდება აღნიშნული წყაროების სინჯების ლაბორატორიული კვლევა. წყაროების დაკარგვის ან ხარისხის გაუარესების შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, შპს „აი ჯი ენერჯი“ უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას (ალტერნატიული წყაროების მოძიება და მოწესრიგება ან ჭაბურღილის მოწყობა შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე).

იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება წყაროების დებეტის გაზრდას, რაც მიუთითებს გვირაბიდან წყლის ფილტრაციის არსებობაზე დაისახება დამატებითი საინჟინრო ღონისძიებები ფილტრაციის აღკვეთის მიზნით.

საკითხი 9 - არ არის წარმოდგენილი წყლის ხარჯსა და დონეებს შორის დამოკიდებულების მრუდები სათავე ნაგებობის ძალოვანი კვანძის და სანაყაროების გასწორებში. ამასთან არ არის წარმოდგენილი მდინარის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმეების ანგარიში სათავე ნაგებობის და ძალოვანი კვანძის მიდამოებში.


კომპანიის პასუხი: ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაგეგმილი დამატებითი კვლევების ფარგლებში ჩატარებული იქნება სათავე ნაგებობის ძალოვანი კვანძის და სანაყაროების გასწორებისათვის ჩატარებული იქნება წყლის ხარჯსა და დონეებს შორის დამოკიდებულების გაანგარიშება და შედეგები წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული, ჰესის სათავე ნაგებობის მოსაწყობად შერჩეული მდ. მულხურას მონაკვეთი აგებულია კლდოვანი ქანებით, რაც გარეცხვას არ ექვემდებარება და შესაბამისად ასეთ შემთხვევებში მდინარის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის დონეების გაანგარიშება არ არის მიზანშეწონილი.

საკითხი 10 - წარმოდგენილ ნახაზების მიხედვით, დაზუსტებას საჭიროებს, სად ხდება სადერივაციო გვირაბის (ძირითადი წყალსატარი) განშტოება ორ-სამ სატურბინე მილსადენად.

კომპანიის პასუხი: სადაწნეო გვირაბის სატურბინე მილსადენებად განშტოება ხდება ჰესის შენობის უკან, მის უშუალო სიახლოვეს, რაც მოცემულია გზმ-ს ანგარიშის 4.2.3.1. პარაგრაფის ნახაზზე 4.2.3.1.1. იხილეთ თანდართული სურათი 2 და ნახაზი 1.

სურათი 2 : ძალური კვანძის გენერალური გეგმა



ნახაზი 1

